პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1961-ე წელი | № 57 (11970) | ხუთშაბათი, 9 მარტი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

როგორ ემზადებით არჩევნებისათვის?



19 მარტი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა, რაც უფრო ადრდება არჩევნების დღე, მით უფრო უნვია საერედაქციო ფოსტა. წერენ მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან, წერენ თავიანთი მუშაობის შესახებ, ამხანაგების, თანამოსაქმეთა წარმატებებზე. და როცა ამ წერილებს კითხულობ, გრძნობ, თუ რა ღრმად შეიქრა თვითეული საბჭოთა ადამიანის გულსა და გონებაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები.

საბჭოების არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ ხალხის მიერ სახელმწიფოს მართვის ყველაზე დემოკრატიულ ფორმას, ხელს უწყობენ მშრომელთა ინიციატივისა და აქტივობის ყოველმხრივ გაფართოებას. ამჟამად საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, რაც გამოწვეულია მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ახლა ქართველი ხალხი, ისევე როგორც თვითეული საბჭოთა ადამიანი, ისწრაფვის შრომის ახალი, შესანიშნავი მიღწევებით შეხვდეს პარტიის მომავალ ყრილობას.

ქალაქად და სოფლად, ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, შახტებში, ახალმშენებლობებზე—ყველგან პოლიტიკური მუშაობის ცხარე დღეებია. პარტიული ორგანიზაციები, იყენებენ რა საგაგტაციო მუშაობის ყველა საშუალებებს — ადგილობრივ პრესას, პლაკატებს, ყველე ფურცლებს, კრებებსა და საუბრებს, ფართოდ განუმარტავენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა საარჩევნო სისტემას. სოხუმიდან, ბათუმიდან, სტალინირიდან, რუსთავიდან, თელავიდან, სამტრედიიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან თუ რაიონებიდან იტყობინებიან, რომ აგიტპუნქტები ყოველდღე სავსეა ამომრჩევლებით. აგიტპუნქტები, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ეს ცენტრები, სულ უფრო და უფრო შემოქმედებითად აწყობენ მთელ რიგ საინტერესო ღონისძიებებს.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ახალ ეტაპში შევიდა. დეპუტატებმა ანგარიში ჩააბარეს ამომრჩევლებს. ეს საბჭოების მუშაობის ყოველმხრივი შემოწმება იყო. ამომრჩევლებმა ადგილობრივ საბჭოებში წამოაყენეს ახალი კანდიდატები, ისინი, რომელთაც თავი გამოიჩინეს შრომასა და მოღვაწეობაში, რომელთაც ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ამჟამად მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები თავიანთ რჩეულებთან. ეს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი და ქმედითი ფორმაა. ამ შეხვედრების დროს საარჩევნო ოლქის ყველა მოქალაქეს საშუალება აქვს პირადად გაეცნოს დეპუტატობის კანდიდატს, მის დამსახურებას ხალხის წინაშე. ამიტომ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს შეხვედრები ატარებდეს მასობრივ ხასიათს, რომ ყველა ამომრჩეველს შეეძლოს კარგად გაეცნოს და სწორად შეაფასოს თვითეული კანდიდატის საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობა, რომ გათვალისწინებული იყოს ამომრჩეველთა ყოველი კრიტიკული შენიშვნა.

ამომრჩევლები საბჭოებში თავიანთ წარგზავნილებს აძლევენ განაწესს. ეს განაწესი არის დეპუტატთა მოღვაწეობის ძირითადი პროგრამა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დროულად გამოავლინონ მშრომელთა მოთხოვნილებანი და სურვილები და შემდეგშიც. უახლოეს სესიებზე, უზრუნველყონ კონტროლი ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისადმი.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში არაფერი არ არის წვრილმანი. საპიროა საგაგტაციო მუშაობის ფართოდ გაშლასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, საარჩევნო უბნების კეთილმოწყობას, აგრეთვე უზრუნველვყოთ ავადმყოფებისა და ღრმად მოხუცების მიერ ადგილზე ხმის მიცემის ორგანიზაცია, რომ ყველა ამომრჩეველმა მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ამ მხრივ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ზოგჯერ პარტიის რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომები მხედველობიდან უშვებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, საარჩევნო ოლქების საზღვრების ზუსტად მითითება, საარჩევნო უბნების უზრუნველყოფა ლიტერატურით და სხვ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა „მაგალითად, ყვარლის, ჩხოროწყუს, ტყიბულის და სხვ. რაიონებში.

საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად დიდი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი.

5 მარტს ადგილობრივი საბჭოების არჩევნები დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოკავშირე რესპუბლიკებში. კიდევ ათი დღე და საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო უყუთებთან და აირჩევენ თავიანთ დეპუტატებს. ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მიმდინარე წელს გადაიქცევა ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად, კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ზეიმად.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში ახალი ძალით აზვირთდა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას, თავიანთი ეროვნული დღესასწაულის—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ზეიმს, მთელი ძალები მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას.

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!

საზეიმო კრება დიდ თეატრში

მოსკოვი, 8 მარტი. (საკდესი). 8 მარტს მიეძღვნა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

გაისმის მქუხარე ტაში, როცა პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი. მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, ვ. ვ. გრიშინი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **კ. ე. ვოროშილოვი.** მათთან ერთად შემოდიან მოსკოვის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რევოლუციის ვეტერანთა სახელოვანი გვარდიის წარმომადგენლები **ა. ვ. არტიუხინა, ლ. ა. ფოტიევა, დოლორეს იბარური,** წარმოების სახელგანთქმული ოსტატები **ს. ა. კოტოვა, ვ. მ. პეტრიშჩევა,** ცნობილი საზოგადო მოღვაწეები **ნ. ვ. პოპოვა, ო. ა. ხვალებნოვა** და სხვები.

კრება გახსნა კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **რ. ფ. დემენტიევამ.**

სიტყვებით გამოვიდნენ: კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ სართავი ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი **დ. ს. სმირნოვა,** ულიანოვსკის რაიონის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი **ს. ა. დენისოვა** და სხვები.

საზეიმო კრების მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავისათვის სასიხარულო, ღირსშესანიშნავ დღეს, ჩვენ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის ბოლოწელენი, აფხაზეთის ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე სალამს გიძღვნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს და გამოვთქვამთ გულითად მადლობას ჩისალმებისათვის აფხაზი ხალხისა და ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელის დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით.

ორმოცი წლის წინათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აფხაზეთის მშრომელებმა მთელი საქართველოს მშრომელებთან ერთად, დიდი რუსი ხალხისა და გენიალური ლენინის არმიის ძმური დახმარებით დამახვს საძულველი მენშევიკების ბატონობა და მშობლიურ მიწა-წყალზე დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო ახალი ერა აფხაზი ხალხის ცხოვრებაში, მისი ეროვნული აღორძინებისა და სოციალისტური აყვავების ერა. საქართველოს სსრ მშრომელთა, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში აფხაზეთის მშრომელები დაადგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით გაცისკროვნებულ გზას.

მძიმე ცხოვრება ჰქონდათ რევოლუციამდე აფხაზეთის მშრომელებს. ნისი ლამაზი ნაპირები, მთები და ტყეები შრომის ადამიანთა ცრემლით ირწყვებოდა. და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აფხაზეთში ამობრწყინდა ბედნიერებისა და სიხარულის მზე, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, აფხაზეთი, სადაც ერთსულოვნად ცხოვრობენ და შრომობენ ბევრი ეროვნების წარჩინებულები, გადაიქცა აყვავებულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, სოციალისტური კულტურა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აფხაზეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სანეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. შექმნილია და სწრაფად ვითარდება მრეწველობა. ფართო გაქანება ჰქონა კაპიტალურმა მშენებლობამ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ბევრად გააღიდა ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა. ვითარდება კურორტები, ფართოდდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. სულ უფრო ჰყვავის აფხაზი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

კიდევ უფრო შესანიშნავი პერსპექტივები დაისახა საბჭოთა აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე ახლა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ახორციელებენ რა სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა კადამდე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების შვიდწლედის მეორე წლის დავალება, მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას. ფართოდ აშალებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებას, აფხაზეთის მრეწველობის მშრომელები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აღიდებენ წარმოებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და ამცირებენ მის თვითღირებულებას. დიდი აღმავლობაა რესპუბლიკის სოფლებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის შედეგებით, პლენუმსა და თათბირზე კომუნიზმისა და მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის ანბანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლებით აღფრთოვანებულნი, აფხაზეთის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკები აძლიერებენ ბრძოლას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

აფხაზეთის მშრომელებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს აღნიშნავენ პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, კარგად აქვთ შეგნებული, რომ თავიანთ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში ისინი უნდა უმადლოდნენ მშობლიური ლენინური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, პარტიისა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კიდევ უფრო გახმაკაცდა და გამოიწრთო აფხაზი და ქართველი ხალხების, საქართველოს სსრ ყველა მშრომელის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, რომლებიც ერთობლივი ღონისძიებებით ამრავლებენ თავიანთ წვლილს კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. აფხაზეთის მშრომელთა გული აღსავსეა მხურვალე მადლობის გრძნობით დიდი რუსი ხალხისადმი, ქართველი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებისადმი იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ ისინი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

აფხაზეთის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. უფრო სრულად ავამოქმედებთ რეზერვებს, რათა წარმატებით შევასრულოთ დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკას კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ახალი წარმატებებით შეეხვედრნთ პარტიის XXII ყრილობას.

გაუმარჯოს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

მიღებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე

ნოვოსიბირსკი, 8 მარტი. (საკდესი). დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე დღეს დილიდან გრძელდება განხილვა საკითხისა რუსეთის ფედერაციის ამ ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ს. ხრუშჩოვი,** კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ტ. სტრუჩკოვი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ი. ვორონოვი** და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ს. პოლიანსკი.**

დღეს თათბირზე გამოვიდნენ: **ს. ი. ოლეინიკოვი** — კემეროვოს ოლქის ჩკალოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **ტ. ი. პერეშივკო** — ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვებულის“ მეღორე, ტუველი მოსწავლე **ი. ტირტი-ოოლი** — მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის ბრიგადირი, აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირი **ფ. მ. გრინკო** — ალტაის მხარის კოლმეურნეობა „სამშობლოს“ თავმჯდომარე, და სხვები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

ლათინური ამერიკის კონფერენციის მონაწილეებისადმი

მოსკოვი, 8 მარტი. (საკდესი) ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნული სუვერენიტეტის, ეკონომიური განთავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის კონფერენციის მონაწილეებს.

საბჭოთა მთავრობის მეთაური წერს: საბჭოთა ხალხი, რომელიც დიდი პატივისცემით ეკიდება ლათინური ამერიკის ხალხთა მშვიდობისმოყვარულ ტრადიციებს, მიესალმება მათს იმ მისწრაფებას, რომ გახდნენ თავიანთი ქვეყნების ბატონ-პატრონი, გამოიყენონ თავიანთი ქვეყნების მდიდარი ბუნებრივი რესურსები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხთა ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციის გადაწყვეტილება დიდი წვლილი იქნება ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლაში სრული ეკონომიური განთავისუფლებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

კრივოროჟიეს გიგანტი ამუშავებს წინ

კრივოი როგი, 7 მარტი. (საკდესი), მალე ამუშავდება ცენტრალური სამთოგამამდიდრებელი კომბინატი — კრივოროჟიეს ახალი მსხვილი საწარმო, ახლა აქ მიმდინარეობს მექანიზმების გენერალური შემოწმება. კომბინატში დადგმულია პირველხარისხოვანი ტექნიკა.

მეოცე რუსეთის სფსრ დამზადების სამინისტრო

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 6 მარტის ბრძანებულებით რუსეთის სფსრ პირის პროდუქტების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა რუსეთის სფსრ დამზადების სამინისტრო.

რუსეთის სფსრ დამზადების მინისტრად დანიშნულია ამხ. ტ. ა. იურკინი.

პირველ სურათზე თქვენ ხედავთ მეშახტე გოგონას — ლავრა ჟორჟოლაძეს. მან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიაშურა ტყიბულის სტალინის სახელობის შახტს და ბეჯითი მუშაობით მეშახტეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მეორე სურათზეა მარადი ხუციშვილი, რომელიც ლაბორანტად მუშაობს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში. ამავე დროს იგი დაუსწრებლად სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის მესამე კურსზე.

მ. ხუციშვილი მშრომელებმა მესამედ დაასახელეს რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ი. გორგობინიანის, შ. ხუნტუას და ზ. ბერაშვილის მოხსენებები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგის მ. ბებინაშვილის თანამოხსენება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი:

ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დროულად დაიწყეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. არჩევნების ორგანიზაციისათვის მუშაობა ძირითადად არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით მიმდინარეობს. დებულებით გათვალისწინებულ ვადებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელების საერთო კრებებზე წამოყენებულ და აღმასრულებელ კომიტეტების სხდომებზე დამტკიცებულ იქნენ რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიების წევრები. შეიქმნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები, დამტკიცებულ იქნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ოლქებისა და უბნების სიები და საარჩევნო კომისიების შემადგენლობა გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. 26 თებერვლისათვის ყველა საარჩევნო უბანში გამოკრული იყო ამომრჩეველთა სიები. საარჩევნო ოლქები და უბნები ძირითადად უზრუნველყოფილია საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკების საჭირო რაოდენობით, სატელეფონო კავშირით.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში ზოგიერთი ნაკლი აქვთ.

ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს დადგენილებაში რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ არ უჩვენებია ზოგიერთი საარჩევნო ოლქის საზღვრები, არ დაუწესებია ნომრები საარჩევნო ოლქებისათვის. ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის რაიონების ზოგიერთი საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი არ არის არჩევნების დებულებითა და სხვა საარჩევნო ლიტერატურით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონის უზრუნველყოფად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ტყიბულის, ჩხოროწყუსა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების მზადებისათვის, მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი იყოს არჩევნების დებულებით, საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებით, საარჩევნო ლიტერატურით;

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და რაიონული და ძირიული პრესის საშუალებით გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების განმარტებისათვის, ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის თვითეული კანდიდატის პიროვნება და შრომითი საქმიანობა;

საარჩევნო უბნებში შემოიღონ საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრებისა და აქტივისტების ყოველდღიური მორიგეობა. ქმედითი დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათს მუშაობაში, მისცენ სათანადო ინსტრუქტაჟი ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტების შეკვრების შესახებ, მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი იყოს გათბობა-განათებით, სატელეფონო კავშირით. მთის სოფლების საარჩევნო უბნებთან ამინდის ყოველგვარ პირობებში კავშირის დამყარების მიზნით შექმნან ახალგაზრდული ჯგუფები და მოამარაგონ ისინი საჭირო ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით;

შეამოწმონ ამომრჩეველთა სიების შედგენის სისწორე, ამომრჩეველთა სიებში შეიტანონ საბჭოების ტერიტორიაზე მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე. დაახუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში;

დაბეჭდონ და დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ჩააბარონ საარჩევნო უბნებს საარჩევნო ბიულეტენები საჭირო რაოდენობით;

გულდასმით მოამზადონ ამომრჩევლებთან დეპუტატობის რეგისტრირებული კანდიდატების შეხვედრებისადმი მიძღვნილი კრებები. ასეთი შეხვედრები მოაწყონ 16 მარტამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პირის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 8 მარტი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. მ. მამულაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. დავით მიხეილის-ძე მამულაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 8 მარტი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბურკაცოვი — ბაკურიანის ალპინისტთა ბაზის ინსტრუქტორ-ალპინისტი, ოსტატი, ალპინისტ-ოლიმპიელი, ალპინიზმის ოსტატი, ალპინიზმის ოსტატი, ალპინიზმის ოსტატ

ვამრავლოთ ცხვარი — ჩვენი დოვლათი

ზოგიერთი ამხანაგი შეურიგდა ასეთ საშარცხვინო მოვლენას, ასე მსჯელობს, ცხვრის სიკვდილიანობა ყოველთვის იყოო. მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენს პირობებში, სოციალისტურ მეურნეობის პირობებში, ასე არ უნდა იყოს. როდის და რატომ არის ცხვრის სიკვდილიანობა? იზოცება ცხვარი ზამთარში, როცა საკმომთაგარო საკოვრებზე დიდი თოვლი მოდის და ყინვა დგება. მაგრამ თუ საკვების მარაგს შევძენით, ნორმალურ პირობებს უზრუნველვყოფთ გამოზამთრებისათვის, შეიძლება სიკვდილიანობა თავიდან ავიცილოთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

(სიტყვიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1961 წლის 17 იანვარს).

მოყვარეს პირში უძრახე...

უკაცრიელს უწოდებენ ნოღაის ველს, მაგრამ ეს ყოველთვის როდია მართალი. ახლაც ჩვენი ავტომანქანა ბირუზიაკის მინდვრებზე რომ მიჰქრის, მარცხნივ, ცისა და მიწის შეერთებასთან საოგებს ჯოგი გარბის კისრისტეხით, მაღლა ღრუბლებში ელვასავით ქრება რეაქტიული თვითმფრინავი... არა, ნოღაეთი არც უკაცრიელია და არც გარესამყაროს მოწყვეტილი. აბა ესტუმრეთ ბაჯიგანს, ბაკრასს, შეცამეტე ასაქცევს, კრასნი ბუგორს, სუხაია კუმის, კოჩუბეის, თვალუწვდენი საძოვრების ყველა უბანს და დაინახავთ, რა ზმირულად შრომობენ ქართველი მწყემსები შორეულ და ამავე დროს მახლობელ ნოღაეთში, რა „ბეიდროდ“ არის დასახლებული იგი დუშელი, ლენინგორელი, ყაზბეგელი, თიანელი და ჯაველი მეცხვარეებით.

დიდი ხანია ქართველმა მწყემსებმა გზა გიკვლიეს კასპიისპირეთისაკენ. პირველ ხანებში მთ, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ ზღვასავით უკიდეგანო და ნახევრადუდაბნო ტრამალები, შუა აზიის გავარვარებული ხორმაკის სანავარდო, უწყლო და მაშინ ნამდვილად უკაცრიელი ადგილი.

გავიდა დრო. ადამიანები დარწმუნდნენ, რომ ნოღაეთი ცხვრის გაშლილი სუფრაა, სადაც ლაღად ხარობს ავშანი და კაპუეტა, წითელწვერა და ნაცარქათამა, ქუშაბალახი და კუტიმლაშე, რომ ნოღაეთის ტრამალები საუკეთესოა ზამთრის საძოვრებს შორის. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ქართველმა მეცხვარეებმა გულით შეიყვარეს აქაურობა.

...ავტომანქანა სოფელ ხადის კოლმეურნეობის ფერმასთან გაჩერდა. ბეჭებგაღიერი, ჩასხმული ვაჟკაცი, ფერმის გამგე ვანო ბეგოიძე მეცხვარეთა მეურნეობის დასათვალიერებლად გაგვიძღვა.

შევდიგართ მწყემსთა საცხოვრებელ ბინაში, ბაკებში, ფარეხებში, ყველგან წესრიგი და სანიმუშო სისუფთავეა. გახარებული არიან სვიმონ წამალაიძე, მათე ნარიმანიძე, სანდრო მაშულაიძე, ვანო ბენაიძე, ლადო ზაქაიძე. მათ შორაინ დეკემბერში პირველად ჩაატარეს ადრეული დოლი, და ახლა ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეთი ბატკნები ჰყავთ. ეამაყებათ მწყემსებს, მათი ბატკანი მზის სხივებს რომ ეთამაშება, კუნტრუშობს, სიმსუქნით გალაღებულია. ხადელთა ბატკანი სიდიდით შარშანდელ თოხლს არ ჩამოუვარდება. ბუნების ყოველგვარ კაპრიზს და მგზავრობას თავისუფლად აიტანს, მეტ მატყლსა და ხორცს მოგვცემს.

— არც ისე ძნელი ყოფილა შემჭიდროებული დოლი, როგორც ზოგნი გვაშინებდნენ, — ამბობს ვანო ბეგოიძე. — ადრე დაბადებული ბატკნისათვის თავაკრია სითბო, ხოლო დედაცხვრისათვის— ნოყიერი კვება. ამ ორ პირობას თუ გავაღდებთ, ერთი ბატკანიც არ მოგვიკვდება. დეკემბერში რვაას ოცდათხუთმეტი ბატკანი მივიღეთ და დღემდე არც ერთი არ მოგვკვდომია.

საუბარში ჩაერია პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი გ. ზოტიკაშვილი:

— მრავალი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნოღაეთში ყველაზე ცვალებადი ტემპერატურა დაახლოებით ოცი თებერვლიდან ათ მარტამდეა, სწორედ მაშინ არის ცხვრისა და ბატკნის განსაცდელი. ადრეულ დოლში მიღებული ბატკანი, ამ დროისათვის უკვე ღონიერია და მას სიცივე ვერაფერს დააკლებს, ხოლო ჩვეულებრივი დოლის დროს, რაც თებერვლის ბოლოს ნახევარში იწყება, მიღებული ბატკანი ხშირ შემთხვევაში ვერ უძლებს ბუნების სტიქიონს...

— ამიტომაც საჭირო უფრო ფართოდ, უფრო გაბედულად ზოგიდროთ ხელი ადრეულ დოლს, რომელიც შარშან არა მარტო ხადის ფერმაში, არამედ ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც დიდი წარმატებით ჩატარდა, — დასძინა დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწიფურმა.

ერთი სიტყვით, ახლა ეშვი არავის ეპარება ცხვრის სულადობის ზრდის ამ პროგრესული მეთოდის დიდ უპირატესობაში.

მოყვარეს პირში უძრახეო, ნათქვამია, და ჩვენც გვინდა მეგობრულად ვუსაყვედუროთ დუშელებს, ლენინგორელებს, მოხევეებს, თიანელებს, ჯაველებს: თქვენ კი ალ ხალხო, ადრეული დოლი რომ დიდად სასარგებლოა, ამაზე აგერ რამდენი წელიწადია ლაპარაკია. თქვენ კი აქამდე ვერ დანერგეთ ეს საქმე. ბევრ კოლმეურნეობაში დღემდეც უგულებელყოფენ მას. როდემდის გაგრძელდება ასე? განა დრო არ არის ნამდვილად, მთელი გაქანებით მოჰკიდოთ ხელი ამ საქმეს. ვამრავლოთ ცხვარი, ქვეყნის დოვლათი. ორ წელიწადში ხამჯერ ჩავატაროთ ნაყოფიერი დოლი.

თორემ რას ჰგავს? ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზრდის ნაცვლად ცხვრის სულადობამ დაიკლო კიდეც. დუშეთის რაიონის სოფელ ხევშის კოლმეურნეობაში ახლა გაცილებით ნაკლები ცხვარი ჰყავთ, ვიდრე ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, ხოლო მთლიანად რაიონში 1955 წლიდან მიმდინარე წლის იანვრამდე ცხვრის სულადობა მხოლოდ თხუთმეტი ათასით გაიზარდა.

რა არის ამის მიზეზი?

ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელის უყაირათობა, უზრუნველობა, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ბევრი ხელმძღვანელი შეეჩვია ცხვრის დაკარგვას, ხშირ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხს არ აგებენ თვითეული ცხვრისათვის. ხდება ისე, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „როცა ფარეხი უკან ბრუნდებიან, კოლმეურნეები მითვლიან ხოლმე იმდენს, რამდენი ცხვარიც ჩააბარეს საძოვრებზე გაგზავნის მომენტში, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიანთ ეზოებში შერეკავენ იმას, რაც რჩება, ეს სწორი არ არის. რადგან ერთად აძოვებთ ცხვარს, ერთად გაინაწილეთ დანაკარგებიც“.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ცხვრის აღრიცხვის საქმეს. განა სამარცხვინო არ არის, რომ ნოღაეთში მომთაბარე კოლმეურნეობების ბევრ ფერმაში ცხვარი დანომრილი არა ჰყავთ. ამ გარემოებით სარგებლობენ უპატიოსნო პირები და საკოლმეურნეო ცხვარს თუ ბატკანს თავის სერს (ნიშანს) ადებენ.

უნდა აღიკვეთოს ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როგორიც არის ცხვრის დახოცვა. მართალია, მიმდინარე ზამთარს ნოღაეთში ცხვრის მეტად მცირე დანაკარგია, მაგრამ მომავალში დანაკარგი მოსალოდნელია, რადგან ბევრი კოლმეურნეობის ფარაში სამი-ოთხი წელიწადია არ მოუხდენიათ ცხვრის წუნდება, ამის შედეგად ბევრია საყოლად უფარგისი და ბებერი ცხვარი.

დუშეთის რაიონის სოფელ ახალციხის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ლადო წამალაიძემ ჩვენს შეკითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა პირუტყვის სიკვდილიანობა, გვითხრა:

— თქვე კაი ხალხნო, ფარებში ისეთი ბებერი ცხვრები გვყავს, რომ ზოგს ტბილებიც არ აბადია, და სულ ფაფას ხომ არ ვაკმევთ. აბა ბებერი ცხვარი ყინვას და გაჭირვებას გაუძლებს?..

ავტომანქანა დაფეთებულ საოგასავით გარბის ბაჯიგნის გზაზე. ქარის მხრიდან რაღაც შავი, მრგვალი საგნები მიგორავდნენ. ქარი რომ ჩადგებოდა, ისინიც ჩერდებოდნენ, შეტევაზე გადასული ჯარისკაცებივით მიწაზე ინაბებოდნენ და მერე კვლავ იწყებდნენ სირბილს.

— ეს ბალახი ოჯოჯა გახლავთ, — თქვა რაიონის მთავარმა ვეტექიმმა ს. ბახტაძემ, ახოვანმა ვაჟკაცმა, რომელსაც ავტომანქანის თითქმის ნახევარი ეკავა.

— ამ სახელწოდების ბალახი არ გაგვიგია, — შეეპასუხა მგზავრთაგანი.

— სახელწოდება ადგილობრივი წარმოშობისაა.

ცხვრის ფარა შევნიშნეთ სუხაია კუშის მიდამოებში. — აბა გახედეთო, — გვითხრა გ. ზოტიკაშვილმა, — როგორ არის ფარა გაშლილი. ცხვარი ერთ რიგად არის ჩამწკრივებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ცხვარი ერთნაირად ძოვს, ეტყობა გამოცდილი მწყემსი ჰყავს ფარას.

— საერთოდ ახლა ცხვარს მინდორში უჭირს. შარშანდელი ბალახი აბედივით ხმელია, ამიტომ ცხვარი ახალს ეტანება, ახალი კი ჯერ საკმარისი არ არის.

— ახლა ცხვრისათვის კომბინირებულ საკვებს არაფერი სჯობს...

სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის ფერმის ბინაში ვართ. მწყემსთა სახლში სანიმუშო წესრიგია, გაქთქეთებული საწოლები და სისუფთავე სამკურნალო დაწესებულებას მოგვაგონებს. აქ ათას ექვსასზე მეტი ცხვარი ჰყავთ დასადოლებელი. ამ საქმისათვის უკვე მზად არიან მცნობარი ილო ჯიქური და მწყემსები დავით ჯანიაშვილი, კოფინა ციხელაშვილი, ვასილ კოტორაშვილი.

ბინაში აქვთ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, აბანო, სასადილო.

— დოლს საუკეთესოდ ჩავატარებთ, არ დავკარგავთ არც ერთ ცხვარს, არც ერთ ბატკანს, — თქვა ფერმის გამგემ შალვა ვერძეულმა.

დოლისათვის კარგად მომზადებულან თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში. მცნობარ მწყემსს ალექსანდრე აჩიმაშვილს დასადოლებელი ჰყავს ათასამდე ცხვარი, უკვე მიღებულია სამის ორმოცდაათი ბატკანი.

ეს ბრიგადა არჩილ აბრამიშვილის ბრიგადას ეჯიბრება. პირველობის დათმობა არც აქ უნდათ, მათაც ჰყავთ შესანიშნავი მცნობარი გოგლე მოსიაშვილი, რომელსაც მეცხვარეობის ორმოცდახუთი წლის სტაჟი აქვს.

საუკეთესო დოლი ჰქონდათ ლენინგორის რაიონის სოფელ ბოლის კოლმეურნეობის მწყემსებს. აქ დოლში ცხრაას სამოცი ცხვარი ჩადგა. უკვე მიღებულია რვაასზე მეტი ბატკანი. დაძაბულად შრომობენ უკანამხრელი მეცხვარეები, რომლებსაც ექვსი ათასშვიდასი დედაცხვარი ჰყავთ, სასახელო წარმატებები აქვს მწყემსთა კომუნისტური შრომის ბრიგადას დავით ჩიტიშვილის მეთაურობით.

უდანაკარგოდ აზამორებენ ცხვარს და დოლსაც მომზადებული ხვდებიან ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობის კოლმეურნეობის მწყემსები.

მოწინავე ფერმათა რიცხვი მარტო ჩამოთვლილით როდი ამოიწურება. საერთოდ იგრძნობა, რომ მომთაბარე მეცხვარეობის კოლმეურნეობათა მეთაურებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა სახელმძღვანელოდ მიიღეს სამართლიანი კრიტიკა ქართველი მეცხვარეების მისამართით ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

წიწილებს შემოდგომაზე თვლიან, ბატკანს გაზაფხულზე, ვნახოთ ვინ ვის აჯობებს.

გზა სამ ტოტად გაიყო და აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ნოღაეთში რაიმე დასამახსოვრებელ ნიშანს ხომ ვერსად ვიპოვნით, აჩიტომაც ვიდექით და დიდხანს ვფიქრობდით, სით წავსულიყავით.

სიამოვნებით გავიხსენეთ ის დრო, როცა აქ ყოველ გზაჯვარედინზე იყო გზის მაჩვენებელი. მწყემსები მას „დავით სტეფანიჩის თითს“ ეძახდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ამ კუთილ საქმის ავტორი გახლდათ ტრახსის მაშინდელი გამგე დავით გიგაური.

გავიდა წლები და გზის მაჩვენებელი თანდათანობით გაქრა. გულშემატკივარი კი არც საქართველოს მეცხოველეობის საშანქანო სადგურში და არც საძოვრების სამმართველოში არავინ გამოჩენილა.

...მწყემსმა იმ დღეს პირველად შეამჩნია, რომ ჯანსაღი ყოჩი, რომელიც გუშინ ჯიხვივით ხტოდა, რაღაც მოწყენით გამოიყურებოდა. ასე გამეორდა შეორე, მესამე დღეს. უპმელობით ცხვარი თვალსა და ხელს შუა დაწვა, ძალტყავად იქცა. ვეტექიმი გულდასმით სინჯავდა მას, წამლებს ასმევდა, მაგრამ ამაოდ.

სიკვდილის შემდეგ ცხვარი გაჭრეს, ფრთხილად გასინჯეს და, საეჭვო რომ ვერაფერი ნახეს, გაუკვირდათ, რამ იმსხვერპლა იგი. ბოლოს მწყემსის ფხიზელმა თვალმა ერთ ადგილას მოგრძო წვეტიანი ეკალი შეამჩნია, რომელიც შიგ გულში შესობოდა ცხვარს. კარგად რომ დააკვირდნენ, მწყემსებმა ამ ეკალში იმ სარეველა ბალახის პატარა ტოტი შეაჩნიეს, რომელსაც „ბურავო ბალახს“ ეძახიან და, რომელიც ბურღის მსგავსად შედის ცხვრის სხეულში, აღწევს ნაწლავებს, ფილტვებს, გულს და კლავს პირუტყვს.

ეს ბალახი, ანუ „ვაცწვერა“ საშიშია ბაშინ, როცა გახმება და მის თესლს ქარი და თვითონ ცხვარი ავრცელებს.

რა არის საჭირო, რომ იგი მოიპოს?

ამბობენ: ვაცწვერა აუცილებელია ყოველწლიურად გაითიბოს ყვავილობის პერიოდში. ამის საშუალება კოლმეურნეობებს არა აქვთ. საჭიროა ამ საქმეში გამოვიყენოთ მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომელიც, როგორც აქ გადმოგვცეს, წელიწადში მხოლოდ სამ თვეს არის დასაქმებული და რომელსაც ორმოცდაათი ტრაქტორი ჰყავს.

ჩვენ ვიყავით მომთაბარე ვეტპუნქტებში, რომლებსაც ენერგიული მუშაკები ვალერიან მელიქიშვილი და გიორგი სტეფანოვი ხელმძღვანელობენ. ისინი სერიოზულ დახმარებას უწევენ ფერმებს პირუტყვის ვეტმომსახურებაში. მაგრამ არსად არ იგრძნობა ზოოტექნიკოსის ხელი. მომთაბარე მეცხვარეობის არც ერთი რაიონის ვეტუბანში არ არის ზოოტექნიკოსი, მაშინ როცა საძოვრების სამმართველოს ოთხი ზოოტექნიკოსი ჰყავს.

ნათქვამია, ქაღალდი ყველაფერს აიტანსო, მაგრამ გვრცხვენია, როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, გვრცხვენია იმ ამხანაგების ნაცვლად, ვინც მოწოდებულია ზრუნავდეს მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, ვინც გულმხურვალედ უნდა ეკიდებოდეს ამ მამაცი ადამიანების ჭირსაც და ლხინსაც. ეტყობა ბევრს დაავიწყდა თავისი წმინდა მოვალეობა.

სხვანაირად ვერ აგიხსნია ის გარემოება, რომ დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, თიანეთისა და ჯავის რაიონების ბევრ ფერმაში მწყემსები თვეობით ვერ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს და კორესპონდენციებს, ბევრ ბინაში არა აქვთ რადიომიმღები, წითელი კუთხე.

მეცამეტე გადასარბენზე მყოფმა ზოოტექნიკოსმა გ. ნაგლაძემ გულახდილად თქვა, გამოვყრუდი. რვე და ათი დღეა გაზეთი არ წამიკითხავსო.

ლენინგორის რაიონის სოფელ სალბიელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებმა ვასილ ხუბაევმა და მისმა სეხნიამ ვასილ თამარაშვილმა შემოგვჩივლეს:

— გაზეთებს ხანდახან ფეღია ექიმი თუ მოგვცემს, თორემ ისე არავინ არაფერს არ გვიგზავნის. შარშან ორი ცხვრის საფასური მივეცით რადიომიმღებში, მაგრამ ჩვენმა ყოფილმა მებინავემ კოსტა გულიევმა შინ წაარბენინა და თანაც სამი ჰექტარი სიმინდის მოსავალი მოითვისა. ეს ხომ ფარაში მგლის შევარდნასა ჰგავს!

— არ დასაჯეს?

— შენც არ მოგვიკვდე! კოსტას დანაშაული აღარავის ახსოვს.

* * *

...ამ სტრიქონების ავტორმა ნოღაეთში პირველად ამ ცამეტი წლის წინათ იმგზავრა. ხსოვნაში დარჩა მწყემსთა გამჭვარტლული მიწურები თავისი შუაცეცლით. მაშინ ბევრი რამ აკლდათ ქართველ მწყემსებს, მაგრამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით კოლმეურნეობებმა მოკლე ხანში საძოვრებზე ააგეს მწყემსთა კეთილმოწყობილი სახლები, ბინები ცხვრისათვის.

გაგეხარდებათ, როცა დუშეთის, ლენინგორის, თიანეთისა და სხვა რაიონების ზოგიერთი ფერმების ბინებს ნახავთ, რომლებშიც არის აბანო, პორის საცხობი, სამზარეულო, მწყემსთა დასასვენებელი ოთახი, წითელი კუთხე, რადიო.

დროს თავისი მიაქვს. ბევრი ბინა დაძველდა, ზოგს ჭერი ჩამოენგრა და კაპიტალურ რემონტს მოითხოვს.

ერთი ნაკლიც. ცხვართან ერთად ზოგიერთი კოლმეურნეობა აქ ერეკება მსხვილფეხა პირუტყვს. როგორც ამხანაგებმა გვითხრეს, ახლა აქ ათასობით სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ. ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან საძოვრების გაუარესებას იწვევს.

...ზამთარი უბრძოლველად როდი თმობს პოზიციებს. სწორედ ხან წვიმს, ხან თოვს. ხანდახან ჩრდილოეთის ქარიც უბერავს. მაგრამ გაზაფხულს ვერაფერი შეაჩერებს, ისე, როგორც ვერაფერი აღუდგება წინ ჩვენი გმირი და მამაცი მწყემსების თავდადებულ შრომას მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ამ რწმენით ვტოვებთ ნოღაეთის უსასრულო ველებს ნოახლოებული გაზაფხულის ამ დღეებში.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ბაჯიგანი, ჩორნი რინოკი, დაღესტნის ასსრ.

ლენინგორის რაიონის სოფელ მიდელაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი ზაურ მუზაევი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობის კოლმეურნეობის მწყემსი რომან კოგბიაშვილი.

* * *

კარგია ადრეული დოლი

იმ სასიხარულო დღეებში, როცა დედაქალაქში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი მიმდინარეობდა, ჩვენი მწყემსები დაძაბულად შრომობდნენ და ვიკაცური გარჯით უპასუხებდნენ თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმამშინაარსიან და აღმაფრთოვანებელ სიტყვას.

ნიკიტა სერგის-ძემ სამართლიანად გააკრიტიკა ქართველი მეცხვარეები. სრული სიმართლეა, რომ ჩვენ დამკაყოფილებლად ვერ ვასრულებდით აღებულ ვალდებულებებს, ცუდად ვიყენებდით ცხვრის გამრავლების იმ შესაძლებლობებს, რაც ქართველ მეცხვარეებს გაგვაჩნია.

ახლა მთელი ჩვენი ენერგია მიმართულია იქით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი, ფართოდ დავნერგოთ ახალი, პროგრესული. როცა დავფიქრდებით, გული გვწყდება, რატომ ამდენ ხანს არ დავნერგეთ ადრეული დოლი, რომელიც ცხვრის სწრაფი მომრავლების ნამდვილად საუკეთესო მეთოდია.

ავიღოთ ჩვენი მაგალითი. შარშან პირველად განვახორციელეთ ადრეული დოლი და დეკემბერ-იანვარში 800 ჯანსაღი ბატკანი მივიღეთ, რომლებიც კარგა მოზრდილ ცხვრებად იქცნენ. ახლა მათ ყინვა და ქარი ვერაფერს დააკლებს. ჩვენ შეგვიძლია ორ წელიწადში ჩავატაროთ სამი დოლი და ამით სწრაფად ვამრავლოთ საზოგადოებრივი ფარები, ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი სიამაყე.

ს. ჩულლიაშვილი,

ლენინგორის რაიონის სოფელ ბოლის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი.

ამრავლებული ფარებით დავბრუნდეთ შინ

დიდი ხანია ცხვარში დავდივარ, მაგრამ დოლისათვის ისე კარგად არასოდეს ამოვმზადებულვართ, როგორც წელს. თავის დროზე შევაკეთეთ ხაჩვილეები, საბატკნეები, ბაკები. საკმარისზე მეტი მოვიმარაგეთ თივა და კომბინირებული საკვები, შარშან მწყემსებისათვის დამატებით ავაშენეთ ახალი საცხოვრებელი სახლი. ახლა ჩვენ მატერიალურად უფრო მეტად ვართ უზრუნველყოფილი, ვიდრე უწინ. ამიტომ არის, რომ ყველანი მხნედ ვგრძნობთ თავს და მზად ვართ შევასრულოთ ხალხისათვის მიცემული პირობა: მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი, არ დავკარგოთ არც ერთი ცხვარი, არც ერთი ბატკანი, გავზარდოთ ხორცისა და მატყლის წარმოება.

მე პირადად დასადოლებელი მყავდა 982 ცხვარი. უკვე დავადოლე 950, მიღებული ამდენივე ბატკანი მთლიანად შევინარჩუნე.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ საყვედურს იმის გამო, რომ დღემდე საძოვრების ჩვენს მახივში მოუგვარებელია პურის ცხობა. ყველა ბინაში მწყემსები დიდი გაჭირვებით თვითონ აცხობენ უხარისხო პურს.

საცხობის გახსნასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია ნოღაეთში ცეკავშირის საცალო ვაჭრობამ მოაწყოს ხორცის გადამმუშავებელი საწარმო. მართალია, ვიბრძვით ცხვრის სიკვდილიანობის წინააღმდეგ, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირუტყვი აუცილებლად უნდა დაიკლას. თუ ასეთ შემთხვევაში დასაკლავ ცხვარს სახელმწიფოს ჩავაბარებდით, ბევრს მოვიგებდით.

...დოლი თანდათან ჩადგება. ორიოდე თვე, და ქართველი მწყემსები გამრავლებული ფარებით დავბრუნდებით სამშობლოში.

ა. არჩემაშვილი,

თიანეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მცნობარი მწყემსი.

ამას მოითხოვს საქმის ინტერესები

მეცხოველეობის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია წარმოებაში ზოოვეტერინარული კულტურის დაუნერგავად. სწორედ ამიტომ არის საჭირო ვზრუნავდეთ მეცხოველეობის ძირეული რგოლების — ფერმის გამგისა და ბრიგადირის თანამდებობებზე საშუალო ან უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების დაწინაურებისათვის. ამას ჩვენი რაიონის გამოცდილებიდან ვამბობ, სადაც ფერმების მუშაკთა საგრძნობი ნაწილი დაბალი განათლების გამო ვერ უზრუნველყოფს თავისი მოვალეობის წარმატებით შესრულებას.

ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი კი ერიდება ფერმის უუნარო მუშაკების შეცვლას, რითაც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ მეურნეობას. ჩვენთან გაქანურდა ადრეული დოლის დანერგვა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ფერმის მოუმზადებელი მუშაკები სათანადო დაინტერესებას არ იჩენენ პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვისადმი, ზოგჯერ მათ აშინებს ახალი, პროგრესული.

არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველა რაიონში ახლა საკმარისად მოიპოვება მეცხოველეობისათვის საჭირო კადრები, მხოლოდ საჭიროა მათი შერჩევა და სწორად განაწილება.

მეცხოველეობის სპეციალისტთა შორის დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე სომეხი მეცნიერის ა. ბაიბურთიანის გამოსვლამ, რომელმაც ილაპარაკა ცხოველთა ნაწილობრივი დაკოდვის გამოცდილებაზე. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ცხოველთა სწრაფ ზრდას, რაც საშუალებას იძლევა პირუტყვის იმავე სულადობისაგან დამატებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მივიღოთ ხორცი და მატყლი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცხვრის სიკვდილიანობის დიდი პროცენტი მოდის 5-6 თვის მამალ ბატკნებზე. მამალი თოხლი ერთი წლის ასაკამდე გაცილებით ნაკლებს იწონის და ნაკლებ მატყლსაც იძლევა, ვიდრე დედალი თოხლი, თუ ა. ბაიბურთიანის მეთოდს გამოვიყენებთ, დიდად გაიზრდება ხორცისა და მატყლის წარმოება. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წელს ჩავატარებთ ცდებს, რამდენად ეფექტიურია პირუტყვის ნაწილობრივი დაკოდვის მეთოდი.

უკანასკნელ წლებში ჩვენთან მოსპობილია პირუტყვის გადამდები დაავადებანი, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს პარაზიტულ დაავადებებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზოგ ფერმაში დაბალია ზოოვეტერინარული კულტურა. მიუხედავად იმისა, რომ საზამთრო საძოვრებზე გამგზავრებისას ცხვარს აბანავებენ ყუთურის წინააღმდეგო ხსნარში, მაინც ვხვდებით ამ დაავადების გამოვლინებას. ამის გამომწვევი მიზეზია ის, რომ მთის წყალი უარყოფითად მოქმედებს კრეოლინის ხსნარის ეფექტურობაზე. ამისათვის საჭიროა ცხვარს ვაბანავებდეთ ცხვრის გადასარეკ ტრასზე — სტანიცა ოშჩორსკაიასთან, სადაც აბაზანების მოწყობაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 100.000-მდე მანეთი დახარჯა, სამწუხაროდ, ამ აბაზანებს ახლა არავინ იყენებს.

ს. ბახტაძე,

დუშეთის რაიონის მთავარი ვეტექიმი.

მხარს უჭერენ კოდელებს

თელავი

კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეთა წამოწყებას — მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მწყემსების შრომის ანაზღაურებაში წამახალისებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ და იწონებენ მათს ინიციატივას.

გაეცნენ რა თეთრწყაროელთა თაოსნობას, სოფელ რუსპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ წევრებმა ს. როსტომაშვილმა და გ. მარგალიტაშვილმა სურვილი გამოთქვეს პირად სარგებლობაში მყოფი ცხვარი მოსავლელად მიანდონ კოლმეურნეობას. მათ მოიწონეს ავრეთვე მეცხვარე მწყემსთა შრომის წამახალისებელი ღონისძიებანი, რომლებიც კოდელებს შეეჩვია ცხვრის დაკარგვას, ხშირ შემთხვევაში დამახალისებელი ღონისძიებანი კიდევ უფრო გაზრდიან მწყემსთა პასუხისმგებლობას ცხვრის მოვლისათვის. (საკ. კორ.).

ზითელწყაროს

მეზრომელები დიდ ინტერესს იჩენენ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეთა თაოსნობისადმი, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 7 მარტის ნომერში გამოქვეყნდა.

როცა ჯაფარიძის, ზემო ქედის, არბოშიკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში გაეცნენ კოდელ კოლმეურნეთა თაოსნობას, რომელიც საკოლმეურნეო მეცხვარეობის განვითარებას, ცხვრის დატაცების აღმოფხვრას და მწყემსის შრომის წახალისებას ეხება, კოლმეურნეებმა საუკეთესო შეფასება მისცეს მას და გადაწყვიტეს მიბაძონ თეთრწყაროელებს.

— კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი ცხვრის საკითხი დიდი ხანია მოუგვარებელი იყო, — თქვა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. გოგილაშვილმა, — და კარგია, რომ კოდელებს ამ საკითხზე ღრმად მოფიქრებული გადაწყვეტილება მიუღიათ. მე მხარს ვუჭერ მათს მოსაზრებებს.

— ის წამახალისებელი პირობები, — ამბობს სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის მოხუცი მწყემსი აბრამ მენთეშაშვილი, — რომლებიც კოდელებს დაუდგენიათ, თავდადებული შრომის ხალისს შემატებს ჩვენს მეცხვარეებს.

არბოშიკელმა კოლმეურნეებმა გიორგი ბაცაცაშვილმა, არჩილ და ლადო ბაღაშვილებმა, ზურაბ სეხნიაშვილმა, ფერმის გამგემ აბრამ ბაღაშვილმა მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კოდელთა თაოსნობას.

— კარგია, მოსაწონია, — ამბობენ ისინი. (სპეც. კორ.).



საერთაშორისო
დეკოუაში ცხოვრები ვიეოლიცა
ცხოვრება

ნკრუმა ნიღაბს ხდის ჰამარშელდის ვერაგობას

ვაშინგტონი წრთვნის დივერსანტებს

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ

ატომური სტრატეგია საშინელი საფრთხეა ინგლისელი ხალხისათვის

ვის ამზადებენ ჩრდილოეთ კაროლინის ფიჭვნარებში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). „ფორტ-ბრაგის“ (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ირგვლივ ფიჭვნარებში გადარჩეულ მოხალისე ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც ცნობილია როგორც შეერთებული შტატების არმიის საგანგებო დანიშნულების რაზმი, სწავლობს, თუ როგორ შეაღწიოს კომუნისტების ტერიტორიაზე, შეაიარაღოს და გაწვრთნას ადგილობრივი მოსახლეობის მოუმზადებელი ჯგუფები, ხოლო შემდეგ დაეხმაროს აჯანყებულების ამ ჯგუფს თავს დაესხნან საფრიდან სატრანსპორტო კოლონებს, მომალონ კომუნიკაციები და სხვა მეთოდებით მიაყენონ საწყენი მოწინააღმდეგეს“, გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნელი“ თავისი კორესპონდენტის ლუის კრაარის სტატიაში ასე აგვიწერს საგანგებო დანიშნულების რაზმების, ე. ი. დივერსანტთა ძირგამომთხრელი ჯგუფების მომზადებას იმისათვის, რომ მათ მშვიდობიან დროს მოაწყონ საბოტაჟისა და დივერსიის აქტები სოციალისტურ ქვეყნებში.

როგორც სტატიიდან ჩანს, ასეთი სპეციალური რაზმებისათვის ადამიანთა შეგროვების დროს მათი ორგანიზატორები ეყრდნობიან გამცემლებს, რომლებიც ისტორიამ განდევნა თავიანთი ქვეყნების ფარგლებიდან, აგრეთვე აგენტურისა და რეაქციულ ელემენტებს იმ ქვეყნებში, სადაც ამ რაზმებმა უნდა იმოქმედონ.

„უოლ სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საგანგებო დანიშნულების რაზმების ნამდვილ სამსახურში ახლა არის 1.800 კაცი. დაახლოვებით 2.000 რეზერვისტი, აგრეთვე მზად არის. არსებულ ნაწილებს, წერს კორესპონდენტი, ასწავლიან და დაბინავებული ჰყავთ ბად-ტოლცში (გერმანია), ოკინავაზე და ფორტ-ბრაგში შეერთებულ შტატებში.

„უოლ სტრიტ ჯორნელი“ არ მალავს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლაოსი, კუბა და კონგო, ცივი ომი ხშირად წარმოებს „აჯანყებულთა რაზმების“ მეშვეობით ისეთი მეთოდების საშუალებით, როგორიცაა „ღამე თავდასხმები, ბენტები, ჩასაფრება და პროვაგანდა ხელისუფლების სათავეში მდგომი მთავრობის პოზიციების ძირის გამოსათხრელად“.

„შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სპეციალური რაზმები, — განაგრძობს გაზეთი — უკვე წარმოდგენილი არიან მრჩევლებით ისეთ ადგილებში, როგორიცაა ლაოსი, და ისინი შეიძლება ცივი ომის სხვა ფრონტებზეც გამოჩნდნენ“.

„გარდა ამერიკის ჯარისკაცების სწავლებისა, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — ფორტ-ბრაგის სპეციალური საარმიო სკოლა ასწავლის აგრეთვე ლათინური ამერიკისა და აზიის მოკავშირე ქვეყნების ჯარისკაცებს იმის უმნიშვნელოვნეს მეთოდებს, თუ როგორ მოსპონ მოწინააღმდეგის პარტიზანთა რაზმები და ჩაახშონ აჯანყებანი, რომლებსაც კომუნისტები მეთაურობენ.

გაზეთი აშკარა ცინიზმით წერს, რომ ერთ შემთხვევაში შეეთოვებელმა შტატებმა შეძლეს „წარმატებით“ მოეწყოთ „აჯანყება“ გვატემალის მთავრობის წინააღმდეგ 1954 წლის შუახანებში. „გვატემალელთა ანტიკომუნისტური ჯარები, — აღნიშნავს გაზეთი, — რომლებიც ამერიკის დაზვერვამ გაწვრთნა და ეს დაზვერვა აფინანსებდა, შეიკრიბნენ მეზობელ ჰონდურასში, რათა გამოსულიყვნენ პრეზიდენტ ხაკობო არბენსის მთავრობის წინააღმდეგ“. ბრძოლები, ნათქვამია სტატიაში, თვეზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა „მას შემდეგ, — კმაყოფილების დაუფარავად წერს ავტორი, — გვატემალა საკმაოდ მტკიცედ უჭერს მხარს შეერთებული შტატების პოლიტიკას“.

დივერსიული რაზმების შექმნის ინიციატორები, როგორც სტატიიდან ჩანს, მზად არიან გაიმეორონ თავიანთი მოქმედება გვატემალის მაგალითის მიხედვით მსოფლიოს ყველ ქვეყანაში, რომლის ხალხებიც დაიწყებენ ბრძოლას თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და გაიოვლენ ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატურის წინააღმდეგ.

„საგანგებო რაზმების სპეციალისტებზეერავები ფორტ ბრაგში, აგრეთვე გერმანიასა და ოკინავაში განუწყვეტლად ადევნებენ თვალყურს დედამიწის კრიზისულ რაიონებს. სპეციალური ჯარების ჯარისკაცები პირველი მოთხოვნისთანავე სწრაფად იღებენ ინსტრუქციებს, მათ ფარულად გზავნიან სასწავლებლად უდაბნოებში, ჯუნგლში ან არქტიკულ რაიონებში“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ა. ა. გრომიკო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). 6 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. როა და საუბარი ჰქონდა მასთან.

ნაშუადღევს ა. ა. გრომიკო შეხვდა და ესაუბრა განის პრეზიდენტ ნკრუმას.

სუდანს გაჰყავს თავისი ჯარები კონგოდან

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სუდანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაიყვანოს თავისი კონტინგენტი კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემადგენლობიდან.

ნერუ და დიფენბეიკერი ლონდონს ჩავიდნენ

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). დღეს ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ლონდონს ჩამოვიდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და კანადის პრემიერ-მინისტრი დიფენბეიკერი.

„ლუმანიტეს“ კონფისკაცია უყვეს

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). პოლიციის ხელისუფალთა განკარგულებით დღეს დილით გაზეთ „ლუმანიტეს“ კონფისკაცია უყვეს.

მისი კონფისკაციის ხანაში გახდა გაზეთში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა და ფოტორეპორტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ აწამებენ ალჟირელი ეროვნების მოქალაქეებს პოლიციის ჯურღმულებსა და საპყრობილეებში.

ამერიკის ესკადრა არ ჩავა ბეირუთს

ბეირუთი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც ლიბანის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლიბანის მთავრობამ გაიუქმა ამერიკის ხმელთაშუა ზღვის მე-6 ფლოტის 10 ხომალდის ვიზიტი ბეირუთის ნავსადგურში. ვიზიტი განზრახული იყო 20 მარტისათვის.

ჩილის დემოკრატიული ძალების გამარჯვება

სანტ-იაგო, 7 მარტი. (საკდესი). 5 მარტს ჩილიში გაიმართა პარლამენტის არჩევნები. დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩილის დემოკრატიულმა ძალებმა, რომელნიც შედიან სახალხო მოქმედების ფრონტში.

სახალხო მოქმედების ფრონტს სენატში ექნება 13 ადგილი 45 ადგილიდან. წინა შემადგენლობაში მას რვა სენატორი ჰყავდა. კომუნისტური პარტიისაგან სენატში არჩეულია ოთხივე დასახელებული კანდიდატი. არჩეულ სენატორთა შორის არის ჩილის კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი.

სახალხო მოქმედების ფრონტმა მეტი ადგილი მიიღო დეპუტატთა პალატაშიც. 15 დეპუტატის ადგილი მიიღო ჩილის კომუნისტურმა პარტიამ.

პორტუგალიელები, ფაერთრიეთ ტიმორის კუნძულიდან!

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). „ტიმორის რესპუბლიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტმა“, რომელიც ჟაკარტაში იმყოფება, გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს მოხდეს ლიკვიდაცია პორტუგალიის კოლონიისა ტიმორის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. განცხადების ავტორებმა, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან, მოუწოდეს კუნძულის ყველა მცხოვრებს „გაძლიერონ წინააღმდეგობა და განდევნონ პორტუგალიელი კოლონიზატორები ამ ტერიტორიიდან“.

ბაგა ჰოლი-ლოჰში საშინელების განსახიერებაა

ლონდონი 7 მარტი. (საკდესი). „გამალებული შეიარაღების დაწყებიდან არაფერს არ გამოუწვევია ინგლისელი ხალხის ისეთი ძლიერი პროტესტები, როგორიც „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი ამერიკის წყალქვეშა ნავების ბაზის შექმნამ ჰოლი-ლოჰში, — განაცხადა ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კოლინ სუტმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ეს ახალი ბაზა იმ საშინელი საფრთხის განსახიერებაა, რომელსაც ატომური სტრატეგია წარმოადგენს ინგლისელი ხალხისათვის“.

პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა სტივენ სუინგლერმა განაცხადა, რომ პროტესტები სამხედრო ბაზების წინააღმდეგ ძლიერდება. „ჩემს საარჩევნო ოლქში, — დასძინა მან, — ბევრი, ვინც არ უპერდა მხარს მოძრაობას იმის სასარგებლოდ, რომ ინგლისმა ცალმხრივად უარი თქვას ატომგულის იარაღზე, ახლა გადაჭრით ილაშქრებს ჩვენს ქვეყანაში ბაზების შექმნის წინააღმდეგ. ჰოლი-ლოჰში „პროთეოსის“ მცურავი ბაზის მისვლამ ბევრს აუხილა თვალი და დაარწმუნა, რომ მდგომარეობა საშიშია“.

პარლამენტის მეორე წევრმა ლეიბორისტმა უილიამ უორდმ, პარლამენტის იმ წევრ ლეიბორისტთა ჯგუფის მონაწილემ, რომლებიც მუდამ მოითხოვდნენ ინგლისში სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, ხაზი გაუსვა საფრთხეს, რომელსაც ინგლისს უქმნის ატომურ იარაღსა და უცხოეთის ბაზებზე დამყარებული პოლიტიკის განგრძობა.

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ჰოლი-ლოჰში იქნება ბაზა „პოლარისის“ რაკეტებით შეიარაღებულ 10 წყალქვეშა ნავს. ეს ციფრი, რომელიც ახლა ოფიციალურად გამოცხადდა, დიდია იმაზე, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ დაასახელა გასული წლის ნოემბერში, როცა პირველად გამოაცხადეს ამერიკის ბაზის შექმნის გეგმები.

გარდა მცურავი ბაზის „პროთეოსისა“, აქ აგრეთვე იქნება მცურავი მშრალი დოკი წყალქვეშა ნავების შესაკეთებლად.

გაზეთი „დეილი უორკერი“ წერს, რომ „პოლარისის რაკეტებით შეიარაღებული ამერიკული წყალქვეშა ნავები მანევრებს გამართავენ შოტლანდიის ნაპირებთან.

ვაშინგტონის ინფორმაციის წარმომადგენელმა უინს ტომასმა, რომელიც ამჟამად იმყოფება ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბში კლაიდში, განაცხადა: „სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენი წყალქვეშა ნავები აქ საბრძოლო მომზადებას გაიელიან“.

დაპატიმრებანი კოსტა-რიკაში

პანამა, 7 მარტი. (საკდესი). როგორც პრესა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი სან-ხოსედან იუწყება, კოსტა-რიკის ხელისუფლებამ დაპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომლებმაც კოსტა-რიკისა და კუბის გუნდებს შორის ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონის ტრიბუნებზე თავიანთი სიმპათია გამოთქვეს კუბის რევოლუციის მიმართ. დაპატიმრებულთა შორის არიან წყნარი ოკეანის სანაპიროს სამხრეთი ნაწილის მშრომელთა ერთიანი ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ალვარო მონტერო და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის გენერალური მდივანი მანუელ ბობადილია.

ბევრმა მუშათა ორგანიზაციამ მტკიცე პროტესტი განაცხადა მონტეროს და ბობადილიას დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

ტაბლოიდი

ა. ა. გრომიკო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). 6 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. როა და საუბარი ჰქონდა მასთან.

ნაშუადღევს ა. ა. გრომიკო შეხვდა და ესაუბრა განის პრეზიდენტ ნკრუმას.

სუდანს გაჰყავს თავისი ჯარები კონგოდან

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სუდანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაიყვანოს თავისი კონტინგენტი კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემადგენლობიდან.

ნერუ და დიფენბეიკერი ლონდონს ჩავიდნენ

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). დღეს ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ლონდონს ჩამოვიდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და კანადის პრემიერ-მინისტრი დიფენბეიკერი.

„ლუმანიტეს“ კონფისკაცია უყვეს

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). პოლიციის ხელისუფალთა განკარგულებით დღეს დილით გაზეთ „ლუმანიტეს“ კონფისკაცია უყვეს.

მისი კონფისკაციის ხანაში გახდა გაზეთში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა და ფოტორეპორტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ აწამებენ ალჟირელი ეროვნების მოქალაქეებს პოლიციის ჯურღმულებსა და საპყრობილეებში.

ამერიკის ესკადრა არ ჩავა ბეირუთს

ბეირუთი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც ლიბანის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლიბანის მთავრობამ გაიუქმა ამერიკის ხმელთაშუა ზღვის მე-6 ფლოტის 10 ხომალდის ვიზიტი ბეირუთის ნავსადგურში. ვიზიტი განზრახული იყო 20 მარტისათვის.

ადენაუერს გერმანია მიჰყავს კატასტროფის გზით

ბერლინი, 7 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი და სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ამ ბარათში მთავარი უურადღება ექცევა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, ამასთან უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას. გერმანიის იმპერიალიზმის წარმომადგენლნი, განაგრძობს გაზეთი, ჯერ კიდევ ლაპარაკობენ საზავო ხელშეკრულების დადების „შეუძლებლობაზე“, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თითქმის 16 წელი გავიდა.

ბონის მმართველ წრეებს მიაჩნიათ, რომ სამახსოვრო ბარათი თითქოს გამოხატავს საბჭოთა მთავრობის არარეალისტურ პოზიციას. მაგრამ მათი აზრით რეალისტურია აბსურდული მტკიცება, რომ შეიძლება მოსპონ სოციალისტური ბანაკი და ადადგინონ ომამდელი დროის იმპერიალისტური ბატონობის სფერო.

პარიზში ამ დღეებში გაიმართა ახალგაზრდობის მრავალათასიანი დემონსტრაცია კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მიჰქონდათ პლაკატები „ძირს კოლონიალიზმი!“, „ხელები შორს აფრიკისაგან!“, „მშვიდობა ალჟირს!“, „აფრიკა — აფრიკელებს!“, „კოლონიზატორებო, წაეთრიეთ კონგოდან“!.

ფოტო გაზეთ „ლუმანიტედან“.

საბავო ხელშეკრულება აუცილებელია

გაზეთი ეხება ბონის განცხადებას, რომ წარმოდგენილი „საბავო ხელშეკრულების“ [illegible] გათიშულად [illegible] [illegible] [illegible] წერს: ამჟამად [illegible] [illegible] ფოსაგან შეიტანს. [illegible] [illegible] საბავო ხელშეკრულება უნდა დადოს ორ სახელმწიფოსთან. თუ ბონი დაჟინებით ამტკიცებს, რომ საბავო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ გაერთიანებულ გერმანიასთან, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს საბავო ხელშეკრულებაზე.

დასასრულ „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბავო ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუშლის ცეცხლთან თამაშს, სრულიად აუცილებელი ხდება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მუდამ მოითხოვდა საბავო ხელშეკრულების დადებას. მისი თვალსაზრისი შეესაბამება როგორც ეროვნულ ინტერესებს, ისე აგრეთვე საქმის რეალურ მდგომარეობას საერთაშორისო ასპარეზზე.

ვიზიტის სახსოვრად

პარიზი, 6 მარტი. (საკდესი). „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ინიციატივით ქალაქ პერსანში, საფრანგეთის დედაქალაქის ჩრდილოეთით 40 კილომეტრ მანძილზე, მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის წლისთავს.

გამოფენა, რომელიც 10 დღეს გრძელდებოდა, დიდი წარმატებით სარგებლობდა. გამოფენა ნახეს არა მარტო ქალაქ პერსანის, არამედ ახლო-მახლო რაიონების მცხოვრებლებმა.

გუშინ გაიმართა გამოფენის საზეიმო დახურვა. დახურვის ცერემონიას ესწრებოდა ქალაქის მთელი მუნიციპალიტეტი მერის მეთაურობით და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. შეკრებილთ სიტყვით მიმართა სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა.

გომინდანელები კვლავ შეიჭრნენ ბირმაში

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). გომინდანელთა ბანდების ნაშთები, რომლებიც ამას წინათ განდევნეს ბირმიდან, კვლავ შეიჭრნენ ბირმის ტერიტორიაზე და შეიდნენ ქვეყნის სიღრმეში თითქმის 200 მილზე, იუწყება ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან.

კონგოს ბედი

კვლავ აღელვებს მსოფლიოს

ნიუ-იორკი, 8 მარტი. საკდესის კორესპონდენტები **გ. შიშკინი** და **ნ. კრასტნიკოვი** იუწყებიან: 7 მარტს დღის მეორე ნახევარში აქ მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიამ.

15 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით (23 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით) გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ბოლენდმა გამოაცხადა, რომ იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილი. თავმჯდომარის წინადადებით ყველა დელეგატი ადგა და ერთი წუთის დუმილით პატივი სცა ამას წინათ გარდაცვლილი მაროკოს მეფის მოჰამედ V ხსოვნას.

ამის შემდეგ სიტყვა გამოსვლისათვის მიეცა განის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნკრუმას, რომელმაც თავის მკაფიო მიმართვაში დელეგატებისადმი მკაცრად დაგმო კოლონიზატორები და მათი დაქირავებული აგენტები კონგოს კანონიერი მთავრობის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა მხეცური დახოცისათვის. ნკრუმამ განაცხადა, რომ კონგოს ტრაგიკული ამბების გამართლება შეუძლებელია, რადგან პ. ლუმუმბა მოკლეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის თვალწინ, რომლებიც მისივე თხოვნით ჩავიდნენ ამ ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, განაგრძო ნკრუმამ, აფრიკის ხალხები, რომლებსაც ჯერ კიდევ სჯერათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, დაეჭვებული და შეშფოთებული არიან ამ ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის გამო.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 8 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობამ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ამერიკის პრესაში გაჩნდა არასწორი, ტენდენციური ცნობები საბჭოთა დელეგაციის პოზიციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განახლებულ XV სესიაზე ზოგიერთი საკითხის განხილვის მიმართ.

ამტკიცებენ, კერძოდ, თითქოს საბჭოთა დელეგაციას მიზანშეწონილად მიაჩნდეს მოიხსნას სესიის დღის წესრიგიდან პუნქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის პროგრამების შესახებ, რომელიც XV სესიის პირველ ნაწილზე წარადგინა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, და თითქოს მზად იყოს რაღაც „გაცვლის“ სახით დათანხმდეს, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას განიარაღების საკითხი. ასეთი ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგიდან იმ პუნქტის მოხსნის, რომელიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის პროგრამებს, ან დღის წესრიგში ამ პუნქტის დატოვების საკითხი საერთოდ არ ყოფილა აღძრული ე. სტივენსონის და ა. ა. გრომიკოს 6 მარტის საუბრის დროს, რომელსაც იმოწმებენ ამგვარი ცნობების ავტორები.

მუმბას მკვლელობა კანონის უაღრესად უხეში დაღვევაა. კონგოს ამებმა დაგვანახვეს, აღნიშნა ნკრუმამ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძისა, რომლის წარმომადგენელნი აქეზებდნენ ბელგიის მარიონეტების — კასავუბუს, მოიუტუს, ჩომბესა და კალონჯის საქმიანობას, სავსებით ჩაიფუშა. განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაგმო ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცნეს კასავუბუს დელეგაცია, რამაც, მისი აზრით, კიდევ უფრო გაუხსნა ხელი კოლონიზატორთა ბანდებს, რომლებიც ახლა უკვე ბედავენ და გამოდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების წინააღმდეგ. მან დაგმო ბელგიის მთავრობა, რომელიც განაგრძობს ძალადობას ბელგიელ აგრესიას კონგოს რესპუბლიკაში. მან კონგოს მთავრობის კანონიერ წარმომადგენლად ცნო ანტუან გიზენგა.

განის მთავრობის სახელით ნკრუმამ კონგოს პრობლემის უსწრაფესად გადაჭრის მიზნით შეიტანა წინადადება:

კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა უნდა შეიცვალოს სარდლობით, რომელიც მთლიანად შედგენილი იქნება აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან; კონგოში იარაღის ჩატანის თავიდან აცილების მიზნით ყველა აეროდრომი და ნავსადგური უნდა დაექვემდებაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლს; უცხოეთის ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობა უნდა გაიწვიონ კონგოდან, რათა მოისპოს ამ რესპუბლიკაში ცივი ომის განგრძობის ბაზა; უნდა განაიარაღონ კონგოს მთელი შეიარაღებული ნაწილები და მათი იარაღი გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობას; დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ კონგოდან მთელი უცხო არაფრიკული სამხედრო პერსონალი; კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალმა დაბრუნება უნდა გაუწიოს კონგოს მთავრობას საფინანსო და სანაბეჭო ოპერაციების მოწესრიგებაში ისე, რომ კონგოს მთავრობაზე არ ახდენდნენ გარეგან რამე ზეგავლენას ფინანსური პოლიტიკის განხორციელების საქმეში; უნდა გათავისუფლონ პატიმრობიდან ყველა კონგოელი პოლიტიკური მოღვაწე და სამართალში მისცეს პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა მკვლელნი.

განის პრეზიდენტმა გადაჭრით დაგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მანევრები კონგოში, რომლებსაც აშკარად კოლონიალისტური ხასიათი აქვთ.

აღნიშნა რა, რომ პირველი რეზოლუცია კონგოს შესახებ, რომელიც 14 იულისს მიიღო უშიშროების საბჭომ, ზუსტ ინსტრუქციებს აძლევდა გენერალურ მდივანს, ნკრუმამ ფაქტებით დამაჯერებლად ცხადყო, თუ როგორ არღვევდა ჰამარშელდი თავისი მოქმედებით ამ ინსტრუქციებს. სულ ბოლო დრომდე, განაცხადა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერდა კონგოს მეამბოხე ჯარებს კონგოს დემოკრატიულად არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობამ, განაგრძო ნკრუმამ, დაარღვია მისთვის მიცემული რწმუნებულებანი და არ მისცა საშუალება პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას გამოსულიყო ლეოპოლდვილის რადიოთი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს აქცია, ხაზგასმით აღნიშნა ნკრუმამ, იყო ყველაზე შეუწყნარებელი ჩარევა კონგოს საშინაო საქმეებში და იმ რეაქციულ ბანდა ბოროტად გამოიყენება, რომლებიც უშიშროების საბჭომ ძისკენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლებმა, გულისწყრომით განაცხადა განის პრეზიდენტმა, დახურეს კოგოს აეროდრომები, რათა ხელი მეეძალათ ლუმუმბას მთავრობისათვის გადაეყვანა ჯარები კატანგის პროვინციაში მეამბოხე ჯარების დასაორგანიზებლად, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ მდივანს მიეცემული ჰქონდა ზუსტი დავალება ოდნავადაც არ შეეშალა ხელი ცენტრალური მთავრობისათვის, რომ მას გაძოეყენებინა საკუთარი რესურსები კანონისა და წესრიგის აღსადგენად. ეგ, პირიქით, განაგრძო ნკრუმამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლებამ ადგილებზე, როგორც ჩანს, არ ეჭნდათ მოთიოება დაპატრონებოდნენ სამხედრო თვითმფრინავებს, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა გაუგზავნეს ჩომბეს. ეს რეაქციული თვითმფრინავები ჩაიტანეს შეერთებული შტატების სატრანსპორტო თვითმფრინავით „გლობმასტერით“. ისინი, როგორც ჩანს, წარმოადგენდნენ იმ თვითმფრინავთა პარტიის ნაწილს, რომლებსაც ბელგია აწვდიდა ჩომბეს ნატოს ალმით. ნკრუმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თვითმფრინავები გაკეთებულია საფრანგეთში და რომ ამერიკის თვითმფრინავი, რომელსაც ისინი მიჰქონდა, ჩერდებოდა კუნძულ მალთაზე, რომელიც ინგლისს ეკუთვნის. მე ვთხოვ პატივცემულ დელეგატებს, თქვა განის პრეზიდენტმა, ერთი წუთით ჩაუფიქრდნენ და წარმოიდგინონ, რაგვარ სიტყვებს წარმოთქვამდნენ გენერალური ასამბლეის ამ [illegible] [illegible] [illegible]

მათემატიკის ოქროს ფონდი

თბილისში მათემატიკოსთა საკავშირო თათბირის გამო

თებერვლის ბოლო რიცხვებში თბილისში მთელ ერთ კვირას მიმდინარეობდა საკავშირო თათბირი მათემატიკური ფიზიკის ამოცანებში კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენების საკითხებზე.

თანამედროვე მათემატიკის ამ უბანში საბჭოთა მეცნიერებას მსოფლიოში წამყვანი ადგილი უჭირავს. კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებისადმი დიდი ინტერესი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში გამოვლინდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გამოჩენილი რუსი მეცნიერების ნ. ჟუკოვსკისა და ს. ჩაპლიგინის გამოკვლევებმა ჰიდრო-აერომექანიკის საკითხებში. ხსენებულმა გამოკვლევებმა ნათელყო ის შესაძლებლობანი, რომლებიც აქვს კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიას გამოყენებითი ხასიათის ამოცანების შესასწავლად. ამ აზრმა შემდგომ ბრწყინვალე დადასტურება მიიღო რუსი მეცნიერის გ. კოლოსოვისა და განსაკუთრებით ჩვენი გამოჩენილი თანამემამულის ნიკო მუსხელიშვილის შრომებში, რომლებიც ძირითადად დრეკადობის თეორიის ამოცანებს მიეძღვნა. ზემოაღნიშნულ მეცნიერთა და მათი მრავალრიცხოვანი მიმდევრებისა და მოწაფეების შრომებში კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით შესწავლილ იქნა გამოყენებითი ხასიათის მრავალი აქტუალური ამოცანა, რის შედეგად მიღებულ იქნა მთელი რიგი ფუნდამენტალური შედეგები, რომლებმაც გაამდიდრა გამოყენებითი მათემატიკური მეცნიერების ოქროს ფონდი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევებმა, განსაკუთრებით მისმა მონოგრაფიამ „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“.

იმ ფაქტის დადგენამ, რომ კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდებს არსებითი გამოყენება აქვს ბუნებისმეტყველების სხვადასხვა ხასიათის ამოცანების შესასწავლად, საგრძნობი ბიძგი მისცა თვით კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის შემდგომ განვითარებას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის საბჭოთა სკოლის სწრაფი განვითარება, რომელმაც მათემატიკური მეცნიერება გაამდიდრა მთელი რიგი პირველხარისხოვანი შედეგებით. ამ სკოლის ღირებულებათა ერთ-ერთს შედგენს თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირი. განსაკუთრებულ მანძილზე ხშირი იყო შემთხვევა, როცა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ამა თუ იმ სპეციალური ამოცანის შესწავლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული გამოყენებითი ხასიათის საკითხებთან. მაგალითად, მთელი რიგი გამოყენებითი, კერძოდ, ტექნიკური ამოცანების გამოკვლევის პროცესში ცხადი გახდა, რომ მათი მესწავლე განისაზღვრება კომპლექსური ცვლადის ფუნქციაში თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნით და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული კოშის გულინ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის შრომებში იქნა ნაჩვენები. ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ორმოციანი წლებიდან დაწყებული საფუძველი ჩაეყარა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების ინტენსიურ შესწავლას. ამ ამოცანების დამუშავებაში დიდი როლი შეასრულა თბილისელ მათემატიკოსთა ერთმა ჯგუფმა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით.

ამ ბოლო წლებში ბუნებრივად წარმოიშვა დიდი საჭიროება ისეთი საკავშირო თათბირის მოწვევისა, რომელიც მიეძღვნებოდა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენების მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის მრავალფეროვან საკითხებში. ასეთი კონფერენციის მოწვევის საჭიროება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ აუცილებელი შეიქნა შეჯამებულიყო აქამდე მიღებული შედეგები და ამის საფუძველზე მეცნიერებს საშუალება მისცემოდათ ერთობლივად დაესახათ კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების განვითარებისა და მათი გამოყენებების აქტუალური მიმართულებანი. ასეთი სახის პირველი თათბირის ჩატარების ადგილად თბილისი რომ იქნა არჩეული, ეს სავსებით გასაგებია, რადგან თბილისი საბჭოთა კავშირში დამსახურებულად ითვლება წამყვანი სამეცნიერო ცენტრად კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებათა საკითხებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, თათბირმა მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა შორის. აქ შეგვრჩა ასზე მეტი სპეციალისტი, რომელთა შორის იყო არა ერთი და ორი სახელგანთქმული მეცნიერი. თათბირის მუშაობა მიმდინარეობდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

თათბირზე მოსმენილ იქნა 77 სამეცნიერო მოხსენება.

მოხსენებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ილია ვეკუას მოხსენება „ღუნვებისა და ძაბვების ველთა პროექციული თვისებები“. მოხსენებაში აღნიშნულ შედეგებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული და თეორიული ღირებულება აქვს. დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ამავე სექციაში აკადემიკოს ს. კოჩინას (ნოვოსიბირსკი), საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვ. სოკოლოვსკის და ლ. გალინის (მოსკოვი), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. კუპრაძის (თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორების გ. ჯანელიძის (ლენინგრადი), ა. ნიკოლსკის, დ. შერმანის, ა. გოლდენვეიზერის (მოსკოვი) და სხვათა მოხსენებები.

ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ა. ბიწაძისა (ნოვოსიბირსკი) და ს. მერგელიანის (ერევანი) მოხსენებებმა. საგრძნობი ინტერესით იქნა მოსმენილი ამ სექციაში აგრეთვე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ვეკუას (თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორების თ. გახოვის (როსტოვი), ლ. ეოლკოვსკის (პერმი), ა. ჯუსეინოვის (ბაკო) და სხვათა მოხსენებები.

ეჭვი არ არის, რომ ჩატარებული თათბირი დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირში კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდებისა და მათი სხვადასხვა გამოყენების შემდგომ განვითარებაში.

ა. კალანდია,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გ. ხვედელიძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბედნიერი დედა. — ხშირად იტყვიან ხოლმე მასზე. და მართლაც ბედნიერია, სამი ტყუპის დედა, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ჭარხნის მუშა ა. ფაქიალაძე. უსაზღვრო დედის სიხარული, როდესაც სამუშაოდან დაბრუნებულს ეს კუდრაჭები — ნინო, ქეთო და დათო მოსვენებას არ აცლიან და გაუთავებელი ტკბილეთით გულს სიამით უვსებენ.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

ფინიშის წინ ჭადრაკი

7 მარტი გადადებული პარტიების დამთავრების დღე იყო. ბ. გურგენიძეს ოსტატ ა. ბუსლაევთან გადადებულ პარტიაში პოზიციური უპირატესობა ჰქონდა და იგი გამარჯვებით დაამთავრა. მეორე პარტიაში ა. ბუსლაევმა მოუგო ოსტატ მ. შიშოვს.

გროსმაისტერმა რ. ხოლმოვმა ორ გადადებულ პარტიაში 1,5 ქულა შეაგროვა — დაამარცხა ა. იზვოზჩიკოვი და ყაიმით დაკმაყოფილდა დ. ჯანოევთან შეხვედრაში. ლიდერმა ე. გუფელდმა კიდევ უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ოსტატ ა. ბლაგიძესთან პარტიის მოგებით. გ. ეგიაშვილისა და თ. გიორგაძის პარტიაში გაიმარჯვა პირველმა. ორი პარტია — ა. ბრეიტმან-ა. გაგუასა და რ. შეინცვიტ-თ. გიორგაძეს შორის ყაიმით დამთავრდა. გამოტოვებულ პარტიაში, ჯ. ბერაძემ დაამარცხა ე. მიქაელიანი.

გუშინ თბილისის რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა რესპუბლიკური ჩემპიონატის მე-14 ტური.

გროსმაისტერ რ. ხოლმოვისა და ბ. გურგენიძის პარტიაში რ. ხოლმოვის წინადადებით 32-ე სვლაზე ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ასეთივე შედეგით დამთავრდა გ. კალატოზიშვილისა და ა. ბუსლაევის პარტია. ლ. შტეინმა მოუგო მ. შიშოვს, ე. გუფელდმა — ა. იზვოზჩიკოვს, ა. ბრეიტმანმა — რ. შეინცვიტს, თ. გიორგაძემ — ე. მიქაელიანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისელთა დამაჯერებელი გამარჯვება

დასასრულს უახლოვდება „ა“ კლასის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივების წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში. მალე გამოვლინდებიან გამარჯვებულნი, რომლებისგანაც შეიქმნება ფინალური ჯგუფი.

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა მორიგი წინასწარი მატჩი ქალთა გუნდებისათვის მეორე ქვეჯგუფში. თამაშობდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბაკოს „ბურევესტნიკის“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა 77:42 (36:20).

ჭადრაკს უყვარს შრომა, გარჯა

გ. ბ. პარკაძე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის წევრი 1902 წლიდან, პერსონალური პენსიონერი გრიგოლ (გუცა) ბენდიქტესძე პარკაძე.

გ. პარკაძე დაიბადა 1878 წელს გორის მაზრის სოფელ ქვემო ჯალაში. 1893 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და მალე გახდა ნოსწავლეთა მარქსისტული წრის წევრი. 1902 წლიდან ჩაება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში და შევიდა რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში.

გ. პარკაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. გორის მაზრის სოფლებში იგი აწყობდა მიტინგებს, აგიტაციას ეწეოდა გლეხთა შორის და მოუწოდებდა ხალხს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

1905 წლის ზაფხულში გ. პარკაძე ჭიათურაშია და მონაწილეობას იღებს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გაჩაღებულ დისკუსიებში მენშევიკების წინააღმდეგ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ გ. პარკაძე პარტიულ მუშაობას ეწევა თბილისში.

რეაქციის პერიოდში მისი ბინა (ფასანაურის ქ. № 17) წარმოადგენდა ბოლშევიკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსპირაციულ პუნქტს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გ. პარკაძე აქტიურ მუშაობას ეწევა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. 1918 წლის 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში გამართულ ბოლშევიკურ მიტინგში მონაწილეობისათვის მენშევიკებმა გ. პარკაძე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე გ. პარკაძე დაინიშნა მუშურ-გლეხური ინსპექციის კოლეგიის წევრად. 1922 წლიდან იგი მუშაობდა გაზეთების „მიწის მუშის“ და „მუშის“ რედაქციებში და ასრულებდა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს და უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის კოლეგიის წევრის მოვალეობას. შემდეგში იგი მუშაობდა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილედ, საქართველოს რევოლუციის მუზეუმის დირექტორად და სხვ.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გ. პარკაძე დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

გ. პარკაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საჩუქარი დედას...

ფოტოტიუდი ბ. დადვაძისა და შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲑᲐᲨᲝᲗᲐ საჭადრაკო სკოლა უძლიერესია მსოფლიოში. ჩვენი მოჭადრაკეები, რა თქმა უნდა, არ დასჯრდებიან მიღწეულს და შემდგომ სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას.

რა აღგილი უჭირავთ საქართველოს მოჭადრაკეებს ამ უაღრესად პოპულარული თამაშის სხვა საბჭოთა ოსტატებს შორის, როგორია პერსპექტივები ჭადრაკის შემდგომი განვითარებისა ჩვენს რესპუბლიკაში? ეს საკითხები აღელვებს ამჟამად არა მარტო იმათ, ვისაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჭადრაკთან, არამედ ქართველ გულშემატკივართა მრავალთასიან არმიისაც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მღელვარებისათვის საფუძველი საკმაოა: გარდა ნონა გაფრინდაშვილისა, ბუხუტი გურგენიძისა, მანანა ტოგონიძისა და ელისო კაკაბაძისა, ჩვენ ამჟამად არა გვყავს მოჭადრაკეები, რომლებსაც შეეძლოთ წარმატებით გაუწიონ მეტოქეობა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოჭადრაკეებს.

საბჭოთა კავშირში, სადაც მოჭადრაკეთა კლასი მეტად მაღალია, გზა ოსტატის წოდებისაკენ, უთუოდ რთული და ძნელია. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გამარჯვების მოპოვება ყველაზე გამოჩენილ ოსტატებთან — გროსმაისტერებთან. ჩვენი ქვეყნის უკანასკნელნა ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ოსტატებსა და გროსმაისტერებს შორის თამაშის კლასში სხვაობა დიდია. ჩემპიონატში მონაწილეობდა 10 გროსმაისტერი და 10 ოსტატი. თუ განვიხილავთ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებიც მათ შორის გათამაშდა, გამოდის თითქოს მატჩი გროსმაისტერების გუნდსა და ოსტატების გუნდს შორის. ამ თავისებური მატჩის შედეგია $64^1/_2:35^1/_2$ გროსმაისტერების სასარგებლოდ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ოსტატებისათვის ძნელია ნახევარფინალებში და თვით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის ფინალში თამაშის პირობები, ყველა საფუძველი გვაქვს ამედი ვიქონიოთ, რომ სსრ კავშირის (და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოს) საუკეთესო მოჭადრაკეთა შორის იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. ჭადრაკის თანამედროვე განვითარების დროს ცხადია უნდა გვქონდეს ნიჭი, მაგრამ მარტო ეს საკმარისი როდია. არის კიდევ მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც ამჟამად საჭიროა მაღალი კლასის მოჭადრაკისათვის. ეს არის პირველ რიგში ჭადრაკის თეორიის დაუფლება. ამის მიღწევა შეიძლება მოწოდებულ სალიტერატურო ან პერიოდულ საჭადრაკო ლიტერატურის გულმოდგინე და ღრმა შესწავლით. ჩვენი მოჭადრაკეებისათვის შექმნილია საკმარი პირობები ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, მათ დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები. საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის თვითეულ მწვრთნელთან შექმნა სპეციალური სწავლითელი ჯგუფები, რომლებშიც შეიყვანა დედაქალაქის საუკეთესო ოსტატები. ახალგაზრდა მოჭადრაკეები, ამ ჯგუფების წარმატებით მუშაობისათვის საჭიროა, პირველ რიგში თვითონ მოჭადრაკეებმა გამოიჩინონ დიდი დაინტერესება და მთელი ძალღონე მოახმარონ დამოუკიდებელ მუშაობას ჭადრაკის თეორიის დაუფლებისა და თამაშის კლასის სისტემატური გაუმჯობესებისათვის.

ჭადრაკი არა მარტო ინდივიდუალური შემოქმედებაა, არამედ ამავე დროს სპორტიც არის, რადგან მოჭადრაკე ორთაბრძოლას იწყებს სხვა მოჭადრაკეებთან. აქ უკვე დიდ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადება. მაღალი კლასის მოჭადრაკეში ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ნიჭი, სიტყვიერი და თეორიული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადება.

თანაბარი თამაშის კარგი მაგალითი გვაჩვენა 1960 წელს ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილები საქართველოს პირველობაში და სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში, პირველი ადგილი თავს დაფაზე სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში, მეორე ადგილი თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირში და, ბოლოს, გამოვიდა მეოთხე ადგილზე სსრ კავშირის ჩემპიონატში და მოიპოვა ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება. ეს არის შედეგი ნიჭიერი მოჭადრაკის ჰარმონიული მომზადებისა, შედეგი დიდი მუშაობისა მწვრთნელის რსტატ მიხეილ შიშოვის ხელმძღვანელობით. სხვა ჩვენი წამყვანი მოჭადრაკე ქალები მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე და ა. ჩაიკოვსკაია ჯერჯერობით ვერ აჩვენებენ სტაბილურ შედეგებს: წარმატებებს ცვლის წარუმატებლობა და პირიქით, რაც ფრიად საწყენია, რადგან მათი თამაშის კლასი უკვე ახლა იმდენად მაღალია, რომ შეუძლიათ იბრძოდნენ და კიდევაც უნდა იბრძოდნენ პირველი ადგილებისათვის ყოველ შეჯიბრებაში.

სულ სხვა მდგომარეობა აქვთ ვაჟებს. ჩვენ უკვე ვოქვით, რომ წამყვანი საბჭოთა ოსტატების თამაშის კლასი უაღრესად მაღალია. ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა ბევრი შეუპოვრობა და შრომა უნდა მოახმარონ იმას, რომ თამაშის კლასით გაუთანაბრდნენ სსრ კავშირის საუკეთესო მოჭადრაკეებს. უკანასკნელ წლებში ჩვენში გაიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატები: ბუხუტი გურგენიძე და ალექსანდრე ბუსლაევი, აგრეთვე ბევრი ოსტატობის კანდიდატი.

მიუხედავად დიდი პოტენციური შესაძლებლობებისა, ქართველ მოჭადრაკეთა (ლიდერი ბ. გურგენიძე, სტაბილურ შედეგებს ვერ გვიჩვენებს. ეს აიხსნება ცუდი თეორიული და ფიზიკური მომზადებით ტურნირებისათვის, რასაც მან უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. რაც შეეხება ა. ბუსლაევს, სუსტი ნებისყოფა და ხშირი ციაინტნტები მოწმობენ, რომ მის მომზადებაში ხარვეზებია.

საქართველოს ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეა თამაშის კლასის ამაღლებისათვის საჭიროა სერიოზული სატურნირო და სამატჩო პრაქტიკა. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნახევარფინალში, ჩვენს რესპუბლიკას ორი ადგილი ეძლევა. რა ქნან დანარჩენმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა? მათთვის უფრო ხშირად უნდა ვაწყობდეთ ტურნირებს, რომლებზეც უნდა ვიწვევდეთ საუკეთესო ოსტატებს სხვა რესპუბლიკებიდან. ასეთ ტურნირებზე უნდა დავუშვათ ხარმ ოსტატობის 5-6 საუკეთესო კანდიდატი საქართველოს ჩემპიონატზე მიღწეული შედეგების მიხედვით, ეს გაძლიერებდა ინტერესს და უფრო მძაფრს გახდიდა ბრძოლას რესპუბლიკურ პირველობაშიც, ვინაიდან გარდა პირველი ორი ადგილისათვის ბრძოლისა, მოჭადრაკეები ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძოლებენ. ტურნირები ოსტატების მოწვევით ტრადიციად უნდა ვაქციოთ. ეს ძალიან სასარგებლო პრაქტიკა იქნება ჩვენი მოჭადრაკეებისათვის, დაგვეხმარება იმაში, რომ აღვზარდოთ მაღალი კლასის ახალი ოსტატები.

ᲐᲒᲐᲠᲐᲛ ყველა ეს ღონისძიებანი არ იქნება საკმარისი, თუ არ მივიღეთ შემდგომი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჭადრაკი კიდევ უფრო მასობრივი გაეხადოთ ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოში ჭადრაკი უყვართ, ეს საჭირო და ფრიად სასარგებლო თამაშია, რომელიც ახალგაზრდობას უნერგავს საჭირო თვისებებს — ნებისყოფას, სიმტკიცეს მიზნის მიღწევაში, მოსაზრებულობას. ამიტომ რესპუბლიკის საჭადრაკო ორგანიზაცია მარტო ქალაქ თბილისში ეუმთავრებას როდი უნდა სკერდებოდეს. ხომ ცნობილია, რომ საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში ახალგაზრდებს შორის ჭადრაკის მოყვარულთა უდიდესი არმიაა. მათ შორის უნდა გამოვნახოთ ნიჭით დაჯილდოებულნი და ვიმუშაოთ მათთან. ყოველნაირად უნდა მივესალმოთ ჩოხატაურელთა ინიციატივას. ისინი მეორე წელია აწყობენ „ჭადრაკის დღეს“ და მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ოსტატები ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ტოგონიძე და ბუხუტი გურგენიძე. ასეთ ღონისძიებებს პოპულარიზაციას უნდა ვუწევდეთ და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც ვაწყობდეთ.

ჭადრაკის შემდგომ განვითარებაზე რომ ეფიქრობთ, უნდა ვზრუნავდეთ ნორჩ მოჭადრაკეთა—გოგონათა და ჭაბუკთა აღზრდაზეც. ისინი ჩვენი საჭადრაკო ხელოვნების მომავალს წარმოადგენენ. ჭადრაკისადმი უდიდესი ინტერესი ძრავალ ბავშვს იხიდავს სამეცადინოდ. ამ დარგში დიდი მუშაობა წარმოებს განათლების სამინისტროსა და თბილისის განათლების განყოფილების ბაზით. გარდა ამისა სრული დატვირთვით მუშაობენ თბილისის პიონერთა სასახლე და რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლი. მიმდინარე წლიდან ჭადრაკი შეტანილია მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში. სპარტაკიადაში წარმოდგენილი იქნებიან, როგორც ქალაშვილთა და ვაჟთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდები, ისე სასკოლო კოლექტივები — რესპუბლიკების ჩემპიონები. მოჭადრაკე გოგონათა შორის დიდ იმედებს იძლევიან ქალაქ თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორები მარინე ნამორაძე და დალი ღლონტი, რომლებმაც მოიპოვეს ქალთა შორის საქართველოს პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება, პირველთანრიგოსნები ციცინო კახაბრიშვილი, ვიოლეტა ყუპრაშვილი, დარეჯან ხუნდაძე და თბილისის ჩემპიონი გოგონათა შორის ნანა ალექსანდრია. ჭაბუკ მოჭადრაკეთა პირველ რიგებში არიან რ. ჯინჭიხაშვილი, ვ. დავითაშვილი, თ. ჩიკვაიძე, მ. ლეონი, დ. შალამბერიძე და სხვ. ხოლო ყველაზე პატარებს შორის გამორჩეულია ვახტანგ ჩხენკელი და თერთმეტი წლის გრიშა ვარდოსანიძე, რომელმაც უკვე მოიპოვა პირველი თანრიგი მოზრდილთა შორის.

ჭადრაკისადმი ასეთი ინტერესის პირობებში განსაკუთრებით იზრდება რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის როლი. იგი სასწავლო-მეთოდიური მუშაობის ცენტრი უნდა გახდეს. ამ კლუბის შენობა მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს: კლუბს აქვს მხოლოდ პატარა, 60-ადგილიანი დარბაზი და ერთი ოთახი, სადაც ტურნირები ეწყობა.

უეჭველია, კლუბის კარგი შენობა ძალიან შეუწყობდა ხელს ამ უაღრესად პოპულარული თამაშის მასობრიობის შემდგომ ზრდასა და ქართველ მოჭადრაკეთა ოსტატობის ამაღლებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკეა, და იმედი გვაქვს, რომ ახლო მოსავალში ჩვენში გამოჩნდებიან მოჭადრაკენი, რომლებსაც უნარი ექნებათ შეებრძოლონ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ოსტატებს.

ვ. გოგლიძე,
საერთაშორისო ოსტატი.

შვეიცარიის ყინულის მოედნებზე

დღითიდღე საინტერესო და მიმზიდველი ხდება მსოფლიო პირველობის გათამაშების მატჩები შაიბიან ჰოკეში. ეს უძლიერესთა იმ ჯგუფში, სადაც წყდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობის ოქროს მედლების საკითხი. ამიტომ არის, რომ ყველანაირ და ლოზანის სტადიონები, სადაც ეს ასპარეზობა მიმდინარეობს, კერძოდ მაშინ, როცა გამოდიან ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — კანადის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები, მატჩზე დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევს.

7 მარტი ჩემპიონატის მორიგი კალენდარული დღე იყო. ცენტრალური მატჩი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის გაიმართა გვიან საღამოს. ბრძოლა თავიდანვე შეუპოვარი იყო და დამთავრდა ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენების გამარჯვებით, მათ მოიგეს მეტად პასუხსაგები შეხვედრა ანგარიშით 6:4.

კანადისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს კანადელებმა 5:2.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

ტალინი, 7 მარტი. (საკდესი). სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე ფაშისტი ჯალათის აინ-ერვინ მერესა და მის თანამზრახველთა საქმის გამო გრძელდებოდა ბრალდებულთა გ. გერეტსის, „იაგალის“ საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის ყოფილი თანაშემწის, და ი. ვოიკის, ამ ბანაკის ყოფილი მცველის დაკითხვა.

აი რა განაცხადა, მაგალითად, ესტონეთის უშიშროების პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა მოწმემ ი. ლაიტსმა:

— ესტონეთში ჰიტლერელთა ოკუპაციის წლებში არ არსებობდა მართლმსაჯულება.. სიკვდილის განაჩენებს ამტკიცებდა თვით მერე, ესტონეთის უშიშროების პოლიციისა და სდ-ს ყოფილი უფროსი.

ეს სამხედრო დამნაშავე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, არ არის სასამართლოს დარბაზში და მას დაუსწრებლად ასამართლებენ, მაგრამ ყველა დამსწრეთათვის აშკარაა ამ გამოუსწორებელი მკვლელის — ესტონეთის პოლიციის ორგანოების დამსჯელი საქმიანობის ორგანიზატორისა და ესტონეთის ტერიტორიაზე საკონცენტრაციო ბანაკებისა და საპატიმროების დიდი ქსელის ხელმძღვანელის სახე.

მოწმეთა ჩვენება გვიხატავს ფაშისტური მართლმსაჯულების საშინელ სურათს. როგორც წესი, მერე ნიშნავდა სამი პოლიციელის „კომისიას“, რომელიც წყვეტდა ადამიანთა ბედს.

სახელმწიფო ბრალმდებელი: როგორ წყდებოდა ასეთი საქმეები?

მოწმე: ადამიანს ჩვეულებრივ არაფერს ეკითხებოდნენ და არ აცნობებდნენ, რა ბრალდებას უყენებენ.

სახელმწიფო ბრალმდებელი: როგორ გამოიკვლევდა განაჩენი?

მოწმე: იგი წინასწარ მზად იყო.

სასამართლოში გამოძახებულმა მოწმეებმა — ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებმა იცნეს გერეტსი და ვიიკი და დაწვრილებით ილაპარაკეს, თუ რა განიცადეს „იაგალის“ ბანაკში. ბანაკში დამწყვდეულთ სცემდნენ სრულიად უმნიშვნელო საბაბით — ნაჭერი მარგარინის პოვნისათვის, ქარცერში მშიერი ამხანაგებისათვის ულუფის გაზიარების ცდის გამო, მარტო ერთი სიტყვისათვის, რომელიც ტუსაღმა მავთულხლართსგარეთ მყოფ ქმარს ან ძმას უთხრა. ბანაკიდან, მოწმეთა ჩვენებით, ცოცხალი გამოვიდნენ ერთეულები, ხოლო პატიმარი იყო რამდენიმე ათასი.

— მე თორმეტი საკონცენტრაციო ბანაკი გამოვიარე, მაგრამ ლაკი და გერეტსი დამამახსოვრდა როგორც ყველაზე სასტიკი ჯალათები, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულმა მოწმემ ხანა კლენკოვამ, „იაგალის“ ბანაკის ყოფილმა ტუსაღმა. გერეტსს მან უწოდა „დახვეწილი სადისტი“.

სასამართლოს სხდომები გრძელდება.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

9 მარტი

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „პიონერული ორწლეული“, 18.15 — კინოფურნალი ბავშვებისათვის, 18.25 — „სკოლების დასაზმარებლად“, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.55 — გადაცემა ციკლიდან — „საქართველოს მუსიკალური კერები“ — (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის გამო), 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „ლეონ გაროსი ეძებს მეგობარს“ (საბჭოთა-კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი წარმოება).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციო — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-03-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

УЭ 03863 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

3